

***11<sup>5(1)</sup>* y *Nocardiophasis dessonvillei*-ის ფუნქციური მახასიათებლების დეტერგენტთან**

**ინკუბაციის დროზე დამოკიდებული ცვლილებების დინამიკა**

**მანანა გორდეზიანი**

ელ-ფოსტა: [manana.gordeziani@tsu.ge](mailto:manana.gordeziani@tsu.ge)

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის  
ქუჩა #2.

რეზიუმე

შესწავლილია *11<sup>5(1)</sup>* y *Nocardiophasis dessonvillei*-ის უჯრედებზე ნატრიუმის დოდეცილსულფატის განსხვავებული კონცენტრაციების მოქმედება. ნაჩვენებია შტამის დამაზიანებელი აქტივობის განმსაზღვრელი ზოგიერთი ფუნქციური მახასიათებლის (ცოცხალი უჯრედების რაოდენობა, ეგზოგენური ცილის კონცენტრაცია, პეროქსიდაციის ინტენსივობა.) დეტერგენტთან ინკუბაციის დროზე დამოკიდებული ცვლილებების დინამიკა.

დადგენილია შტამის დამაზიანებელი აქტივობის რეალური შემცირებისათვის აუცილებელი დეტერგენტის მინიმალური კონცენტრაცია და *11<sup>5(1)</sup>* y *Nocardiophasis dessonvillei*-ის უჯრედებზე ზემოქმედების ოპტიმალური დრო.

